



# კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტები

2022 წლის თებერვალი

# “კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის“ პროგრამის შესახებ



I ფაზა ბაზრის პოტენციალის კვლევა და არსებული ბარიერების იდენტიფიცირება

- პროექტის I ფაზის ანგარიში: <https://bit.ly/3HUfa3F>

II ფაზა კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის მექანიზმის შემუშავება

- პროექტის შესახებ ვებინარის პრეზენტაცია: <https://bit.ly/3LQWZyi>

III ფაზა პროგრამის განხორციელება

- ვებინარი მომზადებულია „კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში;
- პროგრამა ხორციელდება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) კაპიტალის ბაზრების განვითარების ჯგუფის მიერ;
- პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ, 9DIGITAL RE4M პროგრამის ფარგლებში;
- EBRD-ის მიერ დაქირავებული მთავარი კონტრაქტორია გალტ & თაგარტი, მის ქვეკონტრაქტორთან - BDO საქართველოსთან ერთად;
- პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარებას საქართველოში, COVID-19 პანდემიის შემდგომ ეკონომიკის აღდგენის გზაზე.



# სარჩევი

- 01** კაპიტალის ბაზრის შესახებ
- 02** აქციების და ობლიგაციების მახასიათებლები
- 03** ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების პროცესი
- 04** საჯარო შეთავაზებასთან დაკავშირებული ხარჯები და გრანტი
- 05** საკრედიტო რეიტინგის მოპოვება
- 06** სასარგებლო ინფორმაცია



# კაპიტალის ბაზრის შესახებ

<p><b>რას ემსახურება:</b></p>	<p>ეკონომიკური რესურსების მაქსიმალურად ეფექტურ გადანაწილებას ბაზრის სხვადასხვა მხარეებს, ძირითადად ემიტენტებსა და ინვესტორებს შორის.</p>			
<p><b>ფასიანი ქაღალდები:</b></p>	<p><b>აქციები:</b></p> <p>აქცია არის ფასიანი ქაღალდი, რომლის მფლობელსაც აქვს წილი კომპანიაში და რომლის შესყიდვითაც ინვესტორი ხდება კომპანიის ერთ-ერთი მეწილე ანუ აქციონერი</p>	<p><b>ობლიგაციები:</b></p> <p>ობლიგაცია არის სავალო ფასიანი ქაღალდი. ემიტენტი გამოსცემს ობლიგაციას, რათა მიიღოს თანხა ინვესტორებისგან, რომლებსაც აქვთ სურვილი, გაასესხონ ფული გარკვეული დროის პერიოდით</p>		
<p><b>მოზიდული სახსრების გამოყენება:</b></p>	<p>საქმიანობის გაფართოება</p>	<p>ახალი აქტივების შეძენა</p>	<p>ვალდებულებების რეფინანსირება</p>	<p>დაფინანსების სტრუქტურის გაუმჯობესება</p>
<p><b>როგორ ფუნქციონირებს:</b></p>	<p><b>პირველადი ბაზრები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- კომპანიები უშვებენ ფასიან ქაღალდებს და ხდებიან ფასიანი ქაღალდების ემიტენტები;</li> <li>- ინვესტორები ყიდულობენ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებს;</li> </ul>		<p><b>მეორადი ბაზრები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ინვესტორები სხვადასხვა ტიპის პლატფორმებით ვაჭრობენ გამოშვებული ფასიანი ქაღალდებით;</li> </ul>	
<p><b>შეთავაზების სახეები:</b></p>	<p><b>საჯარო შეთავაზება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- შეთავაზება არანაკლებ 100 ან წინასწარ განუსაზღვრელი რაოდენობის პირებისთვის;</li> <li>- მაღალი გამჭვირვალობის, კორპორაციული მართვის და სხვა მარეგულირებელი მოთხოვნები;</li> <li>- ვრცელდება საგადასახადო შეღავათები &amp; მონეტარული პოლიტიკის მასტიმულირებელი ჩარჩო (რეპო-გარიგებები);</li> </ul>		<p><b>კერძო შეთავაზება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- შეთავაზება 100-ზე ნაკლები რაოდენობის პირებისთვის ან/და გათვითცნობიერებული ინვესტორებისთვის;</li> <li>- ემიტენტის მიერ ნებაყოფლობით ნაკისრი ვალდებულებების გარდა, არ ვრცელდება სხვა მოთხოვნები;</li> <li>- არ ვრცელდება შეღავათები</li> </ul>	



# კაპიტალის ბაზრის მონაწილეები

## ბაზრის მონაწილეები:

### ემიტენტები:

- კომპანიები
- ფინანსური ინსტიტუტები
- მთავრობები

### ინვესტორები:

- ფიზიკური და იურიდიული პირები
- გათვითცნობიერებული და სხვა ინვესტორები

### ბაზრის შუამავლები:

- ლიცენზირებული საბროკერო კომპანიები

### ინფრასტრუქტურა:

- საფონდო ბირჟა
- ცენტრალური დეპოზიტარი
- დამოუკიდებელი რეგისტრატორები

### სხვა ჩართული მხარეები:

- საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოები
- აუდიტორები
- ობლიგაციონერთა წარმომადგენელი
- იურიდიული კონსულტანტები

### მარეგულირებელი:


ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველი ორგანო

*(საქართველოს ეროვნული ბანკი)*




# საქართველოს კაპიტალის ბაზარი

ადგილობრივი საჯარო კორპორატიული ობლიგაციები, ნაშთი (მლნ. ლარი)



სექტორული განაწილება, 2022 წლის 31 იანვარი



- საქართველოში ობლიგაციების ბაზარი მნიშვნელოვნად განვითარდა ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე, რაც გარკვეულწილად, ქართული კორპორატიული სექტორის განვითარებაზე და ინვესტორების მხრიდან გაზრდილ ინტერესზე მეტყველებს.
- განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი არსებულმა წამახალისებელმა მექანიზმებმა (საგადასახადო თუ მონეტარული პოლიტიკის კუთხით) და ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისთვის გადადგმულმა არაერთმა ნაბიჯმა;
- არა-სამთავრობო ემიტენტები წარმოდგენილია როგორც ფინანსური ინსტიტუტებით (ადგილობრივი თუ საერთაშორისო), ისე ადგილობრივი კომპანიებით;
- ადგილობრივ კომპანიებს შორის, ობლიგაციების მეშვეობით დაფინანსებას იღებს საქართველოს ეკონომიკის წამყვანი არაერთი კომპანია;



# სარჩევი

01 კაპიტალის ბაზრის შესახებ

02 აქციების და ობლიგაციების მახასიათებლები

03 ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების პროცესი

04 საჯარო შეთავაზებასთან დაკავშირებული ხარჯები და გრანტი

05 საკრედიტო რეიტინგის მოპოვება

06 სასარგებლო ინფორმაცია



# აქციების ძირითადი მახასიათებლები

შემოსავლის ძირითადი წყარო:	დივიდენდი	აქციის ფასის ზრდა (capital gain)
	<div style="display: flex; justify-content: space-around;"> <span>ჩვეულებრივი აქციები</span> <span>პრივილეგირებული აქციები</span> </div>	
დივიდენდი:	კომპანიის დივიდენდების გაცემის პოლიტიკის შესაბამისად	სტანდარტულად, ფიქსირებული დივიდენდის გადახდა სასესხო ვალდებულებების მსგავსად
უფლებები:	<ul style="list-style-type: none"> <li>- ხმის მიცემა</li> <li>- აქციონერთა კრებაზე მონაწილეობა</li> <li>- მართვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში მონაწილეობა</li> </ul>	შეზღუდული
რიგითობა კაპიტალის სტრუქტურაში:	ყველა სხვა კრედიტორის შემდეგ	უპირატესი უფლებები ჩვეულებრივ აქციონერთან შედარებით როგორც დივიდენდის მიღებისას, ისე კომპანიის გადახდისუუნარობისას





# ობლიგაციების ძირითადი მახასიათებლები

საქართველოს ბაზარზე გამოშვებული ობლიგაციების ძირითადი მახასიათებლები

გადახდის პირობები	ძირითადად არაამორტიზირებადი: <ul style="list-style-type: none"><li>ძირი თანხის გადახდა ვადის დასრულებისას</li><li>კუპონის გადახდა კვარტალურად ან 6 თვეში ერთხელ</li></ul>
რიგითობა კაპიტალის სტრუქტურაში	ძირითადად არაუზრუნველყოფილი/არასუბორდინირებული ობლიგაციები
შეთავაზების მინიმალური მოცულობა	ისტორიულად, მინიმუმ, 10 მლნ. ლარის ან 5 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით
კუპონის ტიპი	ფიქსირებული ან მცურავ განაკვეთზე მიბმული; დგინდება ბაზარზე არსებული მოთხოვნიდან გამომდინარე;
ვალუტა	ლარი, აშშ დოლარი ან ევრო
საშუალო ვადიანობა	ლარი: ძირითადად 2-5 წელი აშშ დოლარი: ძირითადად 2-3 წელი
ლისტინგი	საჯარო შეთავაზების შემთხვევაში, ძირითადად ხდება ობლიგაციების დაშვება საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში
საგადასახადო მიდგომა	საქართველოს საფონდო ბირჟაზე ლისტინგში დაშვებული ფასიანი ქაღალდები გათავისუფლებულია გადასახადებისგან



# ობლიგაციები და სესხები: განსხვავებები სტანდარტულ პირობებს შორის\*

	სესხები	საჯარო ობლიგაციები
გადახდის გრაფიკი	სტანდარტულად ყოველთვიური, ამორტიზირებადი	სტანდარტულად კვარტალური ან ნახევარ-წლიური, ე.წ. ბულეტი <div style="border: 1px solid black; padding: 5px; margin-top: 5px; text-align: center;">გაზრდილი ფულის ბუფერი &amp; გაუმჯობესებული ლიკვიდურობის პროფილი</div>
უზრუნველყოფის მოთხოვნა	კი	არა
კრედიტორთა/ ინვესტორთა წრე	შეზღუდული: მხოლოდ ბანკები და საფინანსო ინსტიტუტები	დივერსიფიცირებული
პირობები, დათქმები & მონიტორინგი	სტანდარტულად, შედარებით მკაცრი დათქმები და მონიტორინგი	სტანდარტულად ნაკლებად მკაცრი დათქმები და გამარტივებული მონიტორინგი (დამატებით, ობლიგაციონერთა წარმომადგენლის ხელშეწყობით)
თანხის მოზიდვის ვადები	1 თვემდე	მინ. 2.5-3 თვემდე
მოქნილობა გადახდის და სხვა პირობების ცვლილებებზე	შედარებით მაღალი მოქნილობა (ბანკთან შეთანხმების საგანი)	შეზღუდული მოქნილობა (სხვადასხვა ჩართულ მხარესთან შეთანხმების/მოლაპარაკების საგანი)
მოთხოვნები გამჭვირვალობის & კორპორაციული მართვის მიმართ	<ul style="list-style-type: none"> <li>- მენეჯერული შუალედური ანგარიშგებები;</li> <li>- არ მოითხოვება კორპ. მართვის სპეციფიკური სტანდარტები;</li> <li>- ზოგადი გამჭვირვალობის მოთხოვნა I &amp; II ზომის კომპანიებისთვის წლიური აუდიტირებული ანგარიშგების მომზადებისთვის;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>- წლიური აუდიტირებული ანგარიშგება, დადასტურებული სდპ აუდიტორის მიერ;</li> <li>- IFRS ნახევარი წლის ანგარიშგებების გასაჯაროების მოთხოვნა;</li> <li>- არსებითი მოვლენების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების მოთხოვნა (მიმდინარე ანგარიშები);</li> <li>- მოითხოვება კორპ. მართვის მინიმალური სტანდარტები: <ul style="list-style-type: none"> <li>- აუდიტის კომიტეტის შექმნა სამეთვალყურეო საბჭოში;</li> <li>- კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშგება;</li> </ul> </li> </ul> <div style="border: 1px solid black; padding: 5px; margin-top: 5px; text-align: center;">დროთა განმავლობაში, დადებითად ისახება კომპანიის საქმიანობის ეფექტურობაზე, ცნობადობასა და რეპუტაციაზე;</div>



# ობლიგაციები: გამოშვების ვალუტა

აშშ დოლარში  
დენომინირებული  
ობლიგაციები:

## უპირატესობები

- **ინვესტორთა წრე:** პოტენციურ ინვესტორთა ფართო წრე, რომელიც მოიცავს როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს (რეზიდენტი/არა-რეზიდენტი);
- **დაბალი ნომინალური კუპონი:** დოლარში დენომინირებულ ობლიგაციებს ლარის ობლიგაციებთან შედარებით, როგორც წესი, დაბალი ნომინალური კუპონი აქვს;

ლარში  
დენომინირებული  
ობლიგაციები:

- **სავალუტო რისკების დაზღვევა:** ადგილობრივი კომპანების უმეტესობისათვის შემოსავლები და ვალდებულებები ერთ ვალუტაშია;
- **ვადიანობა:** ძირითადად, შედარებით გრძელვადიანი ობლიგაციები
- **რეპო გარიგებები:** ბანკებს შესაძლებლობა აქვთ კონკრეტული ტიპის ლარის ფასიანი ქაღალდების გირავნობით ეროვნული ბანკისგან ისესხონ ლარის რესურსი რეფინანსირების განაკვეთში;

## შეზღუდვები

- **სავალუტო რისკები:** სავალუტო რისკები მაღალია ისეთ შემთხვევაში, როდესაც კომპანიის შემოსავლები და ვალდებულებები სხვადასხვა ვალუტაშია.
- **ვადიანობა:** ძირითადად, შედარებით მოკლე/საშუალო ვადიანი ობლიგაციები

- **ინვესტორთა წრე:** პოტენციურ ინვესტორთა შეზღუდული წრე (ბანკები და ფინანსური ინსტიტუტები)
- **რეიტინგის მოთხოვნა:** რეპო ოპერაციებით სარგებლობისთვის, აუცილებელია რეიტინგის აღება საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოსგან (**მინ. B+**).

რეპო ოპერაციებისთვის  
მისაღები საკრედიტო  
სარეიტინგო სააგენტოები:

MOODY'S

S&P Global  
Ratings

FitchRatings



აქტიურად გამოიყენება ადგილობრივი  
ფასიანი ქაღალდების ემიტენტების მიერ



GALT & TAGGART



# სარჩევი


- 01 კაპიტალის ბაზრის შესახებ
- 02 აქციების და ობლიგაციების მახასიათებლები
- 03 ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების პროცესი
- 04 საჯარო შეთავაზებასთან დაკავშირებული ხარჯები და გრანტი
- 05 საკრედიტო რეიტინგის მოპოვება
- 06 სასარგებლო ინფორმაცია



# საჯარო შეთავაზების პროცესი

საჯარო შეთავაზება

სტრატეგიული შეფასება	მზადება საჯარო შეთავაზებისთვის	ტრანზაქციის განხორციელება	საჯარო ფ/ქ ემიტენტი
<p>ობლიგაციები: შეთავაზებამდე მინ. 2.5-3 თვით ადრე</p> <p>აქციები*: მინიმუმ 12-24 თვით ადრე</p> <p><i>*საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად</i></p>	<p>ობლიგაციები: მინიმუმ 2.5-2 თვით ადრე</p> <p>აქციები*: მინიმუმ 6-12 თვით ადრე</p>	<p>ობლიგაციები: მინიმუმ 1.5-1 თვით ადრე</p> <p>აქციები*: მინიმუმ 1-6 თვით ადრე</p>	<p>ობლიგაციები: <b>ობლიგაციების ვადის დასრულებამდე</b></p> <p>აქციები*: სტატუსის გაუქმებამდე</p>



# სარჩევი

- 01 კაპიტალის ბაზრის შესახებ
- 02 აქციების და ობლიგაციების მახასიათებლები
- 03 ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების პროცესი
- 04 საჯარო შეთავაზებასთან დაკავშირებული ხარჯები და გრანტი**
- 05 საკრედიტო რეიტინგის მოპოვება
- 06 სასარგებლო ინფორმაცია



# საჯარო შეთავაზებასთან დაკავშირებული ხარჯები

სავალდებულო

განთავსების აგენტის საკომისიო

სტანდარტულად, განთავსებული ობლიგაციების დაახლოებით 1-1.5%

სდპ აუდიტორის ხარჯები

განსხვავდება აუდიტორული კომპანიების მიხედვით  
არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს, თუ კომპანიას ისედაც სდპ აუდიტორი ემსახურება

სხვა ერთჯერადი ხარჯები

არაუმეტეს 10,000 ლარისა

- ფასიანი ქაღალდების ISIN რეგისტრაციის მოსაკრებელი (მაქს. 5,000 ლარი);
- ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე დაშვების ხარჯები (მაქს. 2,500 ლარი);
- ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ დეპოზიტარში დაშვების ხარჯები (მაქს. 1,000 ლარი);
- რეგისტრატორში ფასიანი ქაღალდების რეგისტრაციის ხარჯები;

არასავალდებულო

საკრედიტო რეიტინგის ხარჯები

25,000 - 40,000 აშშ დოლარი + ყოველწლიური განახლების ხარჯი  
რეპო-გარიგებების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ლარის ობლიგაციების საჯარო შეთავაზებების შემთხვევაში კრიტიკულია რეიტინგის მოპოვება

ESG - გარე შემფასებლის ხარჯები

20,000 - 30,000 აშშ დოლარი + ყოველწლიური შეფასების ხარჯი

იურიდიული მომსახურების ხარჯები

განსხვავდება იურიდიული კომპანიების მიხედვით (ძირითადად, in-house)  
სტანდარტულად, ობლიგაციონერების წარმომადგენლის ფუნქციასაც იურიდიული კომპანიები ითავსებენ

**პროექტის ფარგლებში მისაღები გრანტი ითვალისწინებს გამარჯვებული კანდიდატებისთვის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ხარჯის (ე.წ. Eligible expenses for cost-sharing) თანადაფინანსებას, საშუალოდ 100,000 - 200,000 ლარის ფარგლებში;**

**შენიშვნა:** მითითებული ხარჯები წარმოადგენს საორიენტაციო მაჩვენებლებს და შეიძლება განსხვავდებოდეს ინდივიდუალური პროექტების და ემიტენტების სპეციფიკის გათვალისწინებით;



# სარჩევი

- 01 კაპიტალის ბაზრის შესახებ
- 02 აქციების და ობლიგაციების მახასიათებლები
- 03 ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების პროცესი
- 04 საჯარო შეთავაზებასთან დაკავშირებული ხარჯები და გრანტი
- 05 საკრედიტო რეიტინგის მოპოვება
- 06 სასარგებლო ინფორმაცია





# საკრედიტო რეიტინგის მოპოვება

## რას ემსახურება საკრედიტო რეიტინგი:

ხელს უწყობს კომპანიისთვის საჭირო დაფინანსების საბაზრო ფასის განსაზღვრას, რაც მაღალი რეიტინგის შემთხვევაში ამცირებს დაფინანსების ღირებულებას;


სწორად განსაზღვრავს და მაღალი რეიტინგის შემთხვევაში აფართოებს ინვესტორთა სამიზნე კატეგორიას;

ზრდის სანდოობას კომპანიის მიმართ და ინვესტორებს აძლევს საშუალებას სწორად განსაზღვრონ და თვალი ადევნონ კომპანიის საკრედიტო რისკსა და გადახდისუნარიანობას;

რეპო გარიგებებით სარგებლობის შესაძლებლობა ლარის ობლიგაციებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებს მინიმალური საკრედიტო რეიტინგს (B+)

საკრედიტო რეიტინგი წარმოადგენს კომპანიის გადახდისუნარიანობის შეფასებას და ფასიანი ქაღალდების გამოშვების შემთხვევაში, ხელს უწყობს ინვესტორთა სამიზნე კატეგორიის სწორად განსაზღვრას და შეთავაზებისთვის განკუთვნილი ფასიანი ქაღალდის ფასწარმოქმნას;

## საკრედიტო რეიტინგის მოპოვების პროცესი



MOODY'S

S&P Global Ratings

FitchRatings



აქტიურად გამოიყენება ადგილობრივი ფასიანი ქაღალდების ემიტენტების მიერ

# სარჩევი

- 01 კაპიტალის ბაზრის შესახებ
- 02 აქციების და ობლიგაციების მახასიათებლები
- 03 ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება
- 04 საჯარო შეთავაზებასთან დაკავშირებული ხარჯები და გრანტი
- 05 საკრედიტო რეიტინგის მოპოვება
- 06 სასარგებლო ინფორმაცია



# ფასიანი ქაღალდების გამოსაშვებად საჭირო დოკუმენტები

მანდატი განთავსების აგენტთან*	ხელშეკრულება განთავსების და ფინანსურ აგენტთან, რომლითაც რეგულირდება ურთიერთობა ემიტენტსა და განთავსების აგენტს შორის ფასიანი ქაღალდების გამოსაშვებასთან და ფინანსურ მომსახურებებთან დაკავშირებით;
ემისიის პროსპექტი & გამოშვების პირობები (შეზღუდვები)	ფასიანი ქაღალდების ემისიის და შეთავაზების ძირითადი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ემიტენტის შესახებ არსებით ფინანსურ და არა-ფინანსურ ინფორმაციას და განსაზღვრავს ემისიის ძირითად პირობებს, ფინანსურ და არა-ფინანსურ შეზღუდვებს (კოვენანტებს).
შეთავაზების პრეზენტაცია	კომპანიის შესახებ ძირითადი ინფორმაციის მოკლე მიმოხილვა, რომლითაც აქცენტი კეთდება ინვესტორებისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციაზე.
ხელშეკრულება რეგისტრატორთან	ხელშეკრულება ფ/ქ რეგისტრატორთან ფასიანი ქაღალდების ემისიის განსახორციელებლად.
ხელშეკრულება ობლიგაციონერების წარმომადგენელთან**	ხელშეკრულება იურიდიულ კომპანიასთან, რომელიც კოორდინაციას უწევს ემიტენტსა და ობლიგაციონერებს შორის კომუნიკაციას.
ეროვნულ ბანკთან წარსადგენი დამატებითი დოკუმენტაცია	ბოლო 2 წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებები (უკანასკნელი წლისთვის - დადასტურებული სდპ აუდიტორის მიერ) და მიმდინარე პერიოდული ფინანსური ანგარიში, სადამფუძნებლო, საგადახდო და სხვა დამატებით დოკუმენტაცია (მაგ. ხელშეკრულებები, გადაწყვეტილებები, სხვ.).
განაცხადი ცენტრალური დეპოზიტარისა და საფონდო ბირჟის** სისტემებში ფასიანი ქაღალდების დასაშვებად (ბირჟის შემთხვევაში - ლისტინგი).	

უცხოელი ინვესტორებისთვის მზადდება ინგლისური ვერსიებიც

\* პროექტში მონაწილეობის მისაღებად, თითოეულ კანდიდატს ესაჭიროება მანდატი განთავსების აგენტთან; მონაწილე კანდიდატებს აქვთ სრული თავისუფლება განთავსების აგენტის შერჩევის კუთხით.

\*\* სურვილის შემთხვევაში, კომპანიას შეუძლია არ გააფორმოს ხელშეკრულება ობლიგაციონერის წარმომადგენელთან ან არ წარადგინოს განაცხადი დეპოზიტარის/ბირჟის სისტემებში დასაშვებად (თუმცა, ამ უკანასკნელის გარეშე, ფასიანი ქაღალდები არ სარგებლობს საგადასახადო შეღავათებით)



# მოთხოვნები საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების მიმართ

## პერიოდული საანგარიშგებო მოთხოვნები:

- სდპ აუდიტორის მიერ აუდიტირებული წლიური ანგარიშის მომზადება არაუგვიანეს 15 მაისისა;
- ნახევარი წლის ანგარიშის მომზადება არაუგვიანეს 15 აგვისტოსი (აუდიტი არ მოითხოვება);
- ანგარიშები უნდა მოიცავდეს:
  - IFRS-ის შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას;
  - კომპანიის მმართველობით ანგარიშგებას;
  - პასუხისმგებელი პირების განცხადებას;
- ანგარიშგებების წარდგენა ხდება სარასის რეპორტალის სისტემით, [reportal.ge](http://reportal.ge)
- დამატებით, ემიტენტებს დაევალებათ კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის წლიურ ანგარიშში გამჟღავნება (comply or explain approach);

## მიმდინარე საანგარიშგებო მოთხოვნები:

ინსაიდერული ინფორმაციისა და გამჭვირვალობის მოთხოვნების ფარგლებში, ემიტენტებს დამატებით ევალებათ ინვესტორთათვის არსებითი ინფორმაციის ეროვნული ბანკის წესებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად გამჟღავნება

## სხვა დამატებითი მოთხოვნები:

ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული მოთხოვნები



# რეპო გარიგება



## რას ემსახურება რეპო გარიგება:

რეპო გარიგებით ფინანსური ინსტიტუტები მოიპოვებენ ობლიგაციებით უზრუნველყოფილ სესხს სეპ-ის რეფინანსირების განაკვეთში.

**რეპო გარიგების მინიმალური მოთხოვნები:**

- ლარში დენომინირებული საჯარო ფასიანი ქაღალდი;
- ემიტენტის მინიმალური საკრედიტო რეიტინგი - **B+**

**რეპო გარიგების უპირატესობები**

- ფინანსური ინსტიტუტები მოიპოვებენ სესხს მიმზიდველი პირობით;
- ინვესტორთათვის ზრდის ფასიანი ქაღალდის მიმზიდველობას და ლიკვიდურობას და ამცირებს საპროცენტო განაკვეთს

*რეფინანსირების სესხის თანაფარდობა უზრუნველყოფაში მყოფი აქტივების ნომინალურ ღირებულებასთან (ე.წ. ჰეარქაუთები) განსხვავდება აქტივების საკრედიტო რეიტინგის და ნარჩენი ვადიანობის მიხედვით;*

S&P, Fitch & Scope Ratings	Moody's	2 წლამდე	2 - 5 წლამდე	5 წელი და მეტი
AAA < BBB-	AAA < BBB-	90%	85%	80%
BB+ < BB-	Ba1 < Ba3	85%	80%	75%
<b>B +</b>	<b>B1</b>	80%	75%	70%



## სასარგებლო ბმულები:

საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდი/ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობა:

<https://nbg.gov.ge/>

საქართველოში ლიცენზირებული საბროკერო კომპანიები:

<https://nbg.gov.ge/supervision/securities-market-supervision>

საჯარო კომპანიები და საჯარო ფასიანი ქაღალდები:

<https://nbg.gov.ge/supervision/public-companies>

საქართველოს საფონდო ბირჟის ვებ-გვერდი:

<https://gse.ge/securities>

გალტ & თაგარტის ვებ-გვერდი:

<https://galtandtaggart.com/en>

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:

E-mail: [CMS@gt.ge](mailto:CMS@gt.ge)

FB page: [www.facebook.com/CapitalMarketSupport](http://www.facebook.com/CapitalMarketSupport)



